თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 5

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

16 მარტი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. გოჩა ვერულაშვილი, 7. კახა ბუცხრიკიძე, 8. როლანდი მესხი, 9. ბიძინა ბუცხრიკიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. გრიგოლ გიორგაძე, 3. შალვა ჭანკვეტაძე.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 9
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდამჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282207526, 16.03.2022 წ.);

   მომხს.; ბ.ბუცხრიკძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების საბალანსო ღირებულებით 48500 (ორმოცდარვა ათას ხუთასი) ლარით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282205951, 28.02.2022 წ.);

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

3. საკრებულოს გამოკლებული წევრის ამბერკი დოლაკიძის ადგილმონაცვლის ფრიდონ გვენეტაძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

   ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკძემ, ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდამჭერიი პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების

ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №277 განკარგულების საფუძველზე, ,,სოფლის მხარდამჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოეყო 690000 ლარი, მუნიციპალიტეტის სოფლებში მ/წ 4 მარტიდან 11 მარტის ჩათვლით ჩატარდა სოფლის საერთო კრებები და კონსულტაციები საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, შერჩეულია 81 პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდამჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282207526, 16.03.2022 წ.).

2

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების საბალანსო ღირებულებით 48500 (ორმოცდარვა ათას ხუთასი) ლარით სსიპ -სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - სოფელ ღვანკითში მცხოვრები სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, მგფ-ს მიერ განხორციელდა წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები. წყალსადენს საჭირო ელექტროენერგია მიეწოდება სათავე ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ელ-სატრანსპორტო ჯიხურიდან, რომლის გამართულად ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია უსასყიდლოთ გადაეცეს სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, შემდგომში სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" კაპიტალში შეტანის მიზნით, რაზეც კომპანია მზადყოფნას აცხადებს.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების საბალანსო ღირებულებით 48500 (ორმოცდარვა ათას ხუთასი) ლარით სსიპ -სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282205951, 28.02.2022 წ.).

3

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს გამოკლებული წევრის ამბერკი დოლაკიძის ადგილმონაცვლის ფრიდონ გვენეტაძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი საკრებულოს გამოკლებული წევრის ამბერკი დოლაკიძის ადგილმონაცვლის ფრიდონ გვენეტაძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2022 წლის 16 მარტის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი